ს.ნ. მ ლიტერატურულ
საკრებულოს
ადმინისტრაციის
27.10.14.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 91

2014 წლის 24 ოქტომბერი

ქ ცაგერი

სოფელ სპათაგორის ამბულატორიის საძირკველისა და მდინარე ლაჯანურის ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შესახებ

აღინიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტსა და ინდ.მეწარმე „დავით მეგრელს" შორის 2014 წლის 7 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება „სოფელ სპათაგორში ამბულატორიისათვის საძირკვლისა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის შესახებ", რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5263 ლარს შეადგენდა, ხელშეკრულების პირობების თანახმად დაიწყო სამუშაოთა შესრულების პროცესი, რომლის შესაბამისად მოეწყო მონოლითური ბეტონის ფილა, რის შემდეგ სოფელ ლაცორიის მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, სამშენებლო ობიექტის ადგილის შერჩევის მოტივით შეწყვეტილი იქნა მშენებლობა და მეწარმესთან საბოლოო ანგარიშსწორება მოხდა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით თანხით 3947 ლარზე, რაზედაც გაფორმებული იქნა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

შემდგომ ეტაპზე მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით შერჩეული იქნა სოფელ სპათაგორში ამბულატორიის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრე გახდა ცაგერის მუნიციპალიტეტი, საკადასტრო კოდი N 89.04.22.005, რაზედაც წარმოდგენილია სათანადო გეოლოგიური დასკვნა, რაც მიწის ნაკვეთის მდინარე ლაჯანურისაგან დამცავი ჯებირის მოწყობას ითვალისწინებს, რაც ექვემდებარება ტენდერის გამოცხადებას, მაგრამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით ამბულატორიების მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლისთვისაა გათვალისწინებული,

371
27.10.2014

მოახლოებული ზამთრის პირობებში მშენებლობის წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, რაც პროექტის ჩავარდნას გამოიწვევს და სოფელ სპათაგორის თემის მოსახლეობა სამედიცინო ამბულატორიის გარეშე დარჩება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობა აყენებს წინადადებას სოფელ სპატაგორის ამბულატორიის საძირკვლისა და მდინარე ლაჯანურის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის მეთოდით გამოყენების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიღებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინადადება და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, უფლება მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სოფელ სპათაგორში ამბულატორიის საძირკველის, მდინარე ლაჯანურის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის და აღნიშნული სამუშაოების პროექტირების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის მეთოდით.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერითანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ზაქარ ყურაშვილი